საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ადმინისტრაციის

განცხადება

მოგეხსენებათ, საქართველოში ერთი თვით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომლითაც გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა იხილეთ წერილზე მიბმულ ფაილში.

მეგობრებო, ჩვენ გვაქვს საგანგებო რეჟიმში მუშაობის დიდი გამოცდილება, ყველას კარგად გვახსოვს რამდენიმე წლის წინანდელი პერიოდი, როცა ძალის გამოყენებით გამოგვაძევეს ინსტიტუტის შენობიდან და, ფაქტობრივად, საველე ვითარებაში გავაგრძელეთ ფუნქციონირება.

ახლა საფრთხე გაცილებით დიდი და მასშტაბურია, საფრთხე შეექმნა თითოეული ჩვენგანის, ჩვენი ახლობლის, მეგობრის, მოქალაქის და საერთოდ ქვეყნიერების ფიზიკურ არსებობას.

შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში ყველამ ვიგრძენით ჩვენი ხელისუფლების თანადგომა. დავრწმუნდით იმაში, რომ ხელისუფლება რეალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს მის მიერ გამოცხადებული ლოზუნგის - „დარჩით სახლში. ჩვენ ვზრუნავთ თქვენზე“ - რეალიზაციას. ჩვენი ვალია უპირობოდ დავუჭიროთ მხარი მას ამ კეთილშობილური ბიზნის შესრულებაში.

ბუნებრივია ვიკითხოთ - რისი გაკეთება შეგვიძლია საგანგებო რეჟიმის პირობებში? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა შეზღუდვათა ჩამონათვალში შემდეგი შეზღუდვა:

„...საგანმანათლებლო და სამეცნიეროკვლევითი დაწესებულებების ადმინისტრაციები ვალდებულნი არიან,21 აპრილამდე იმუშაონ დისტანციური რეჟიმით, თუ მათი ადგილზე ყოფნა კრიტიკულად მნიშვნელოვანი არ არის. აიკრძალა ყველა სახის ტრენინგი, კონფერენცია და სემინარი. მსგავსი ღონისძიებები დასაშვებია მხოლოდ დისტანციურ რეჟიმში...“

ამრიგად, კანონის მიხედვით საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე ვალდებულნი ვართ ვიმუშაოთ დისტანციურ რეჟიმში.

ადმინისტრაცია მოუწოდებს ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს, განსაკუთრებით სამეცნიერო პერსონალს, მაქსიმალურად გამოიყენონ კანონით მოწოდებული მუშაობის ეს ფორმა. სამეცნიერო განყოფილებების გამგეებს გთხოვთ, გამოიყენოთ საქართველოს ყველა უნივერსიტეტში არსებული დისტანციურ რეჟიმში ლექციების ჩატარების გამოცდილება და განყოფილების სემინარები ჩაატარონ დისტანციურ (ონლაინ) რეჟიმში.

ყველას კარგად უნდა გვქონდეს გათვითცნობიერებული, რომ თითოეული ჩვენგანი და მთლიანად სახელმწიფოც ამჟამად საგანგებო რეჟიმში ფუნქციონირებს, მიუხედავად არსებული რთული ვითარებისა, ყველანი ვხედავთ, რომ სახელმწიფო აკონტროლებს პროცესებს, შეუფერხებლად არიგებს პენსიებს, ხელფასებს. ახლა ჩვენც უნდა ვაჩვენოთ, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია.

გისურვებთ ჯანმრთელობას, გამარჯვებებს და ხალისიან განწყობას!